ხელშეკრულება № 20

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი მმართველის ნინო ხურციას სახით და მეორე მხრივ, შპს „ა. ფ. აუდიტცენტრი“ (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ფილიპე ციბაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც _ მხარეები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. შესყიდვის ობიექტი - ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრისთვის აუდიტორული დასკვნის მომზადება. (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ შესყიდვის ობიექტი).

2.2. კლასიფიკატორის კოდი: CPV 79200000 - საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები, 79212000 - აუდიტორული მომსახურება.

2.3. შესყიდვის ობიექტის დასახელება და რაოდენობა მოცემულია დანართში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. მიწოდების ვადა: 2019 წლის 15 მაისის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2. მიწოდების ადგილი: ქ. წყალტუბო, დედა-ენის ქ. №2.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას შემსყიდველის მხრიდან უზრუნველყოფს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური და სახელმწიფო შესყიდვების მართვის მენეჯერი.

6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1. მიმწოდებელთან ანგარისწორება განხორციელდება უნაღდო ანგარისწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში, თანხის გადარიცხვის ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის გათვალისწინებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული საგადასახადო დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და სხვა დოკუმენტები) დადასტურებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაესკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.4.იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,5%-ს, შესყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეების შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეების ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან ან/და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებული ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ტვირთის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათო გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავების გადაწყეტის წესი

11.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ივნისამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 421272027

მისამართი: ქ. წყალტუბო, დედა ენის ქ. № 2

სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის კოდი: TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში: 749623459

მმართველი: ნინო ხურცია

N(N)LE Tskaltubo Municipality Children and Youth Center

Digitally signed by N(N)LE Tskaltubo Municipality Children and Youth Center
Date: 2019.05.10 13:02:54 +04'00'

მიმწოდებელი

შპს „ა. ფ. აუდიტცენტრი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 221275992

მისამართი: ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25

სს ,,საქართველოს ბანკი“
კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE05BG0000000179687400

დირექტორი: ფილიპე ციბაძე

Philipe Tsibadze

Digitally signed by Philipe Tsibadze
Date: 2019.05.17 10:39:29 +04'00'

<u>დანართი</u>

შესყიდვის ობიექტის აღწერა

№	**დასახელება**	**ზომის ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ღირებულება**	**საერთო ღირებულება**
1	აუდიტორული მომსახურება	მომსახურება	1	50	50
სულ ჯამი:					**50 ლარი**

შპს „ა. ფ. აუდიტცენტრი“: _ ფილიპე ციბაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელმომწერი პირ(ებ)ი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრსა და შპს „ა. ფ. აუდიტცენტრი“-ის შორის გაფორმებული № 20 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

უფლებამოსილი პირ(ებ)ი: _____ მარიამ ფუთურიძე

Mariami Puturidze

Digitally signed by Mariami Puturidze
Date: 2019.05.10 13:04:32 +04'00'